MES 0 20 0000791394

07/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:40 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:15 სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრიგეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;
სხდომის მდივანი: გიორგი თურქია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
6. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
7. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ნიკოლოზ კიკნაძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
10. **რომეო გალდავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ზურაბ ხონელიძე,	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ირმა ცომაია		„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ანტონ ჩიქოვანი		ასოცირებული პროფესორი	I
4	ნინო ტაბატაზე		ასისტენტ პროფესორი	I
5	ნესტან კეკელია		საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორ	I

6	მარინა ზარქუა		საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
7	რომეო გალდავა		ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
8	სერგო ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	რექტორი	II
9	ემზარ ბარბაქაძე		რექტორის მოადგილე	II
10	დავით ტეფნაძე		ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	ნიკა თიკანაშვილი		საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი	II
12	დემურ ვეფხვაძე		„ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	ტარიელ ფუტკარაძე	ა (ა) ი პ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი	ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	პაატა გოგიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	III
15	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	IV
16	სოფიო ბერიძე		პროფესორი, „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
	თეა ქოიავა			IV

17			ასისტენტ პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლაშა ბაკურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დარეჯან ღუღუნიშვილი-სონღულაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნათია კვიჟინაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ხატისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	გიორგი მაყაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	კონსტრანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	დარეჯან თვალთვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მარინე თოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ **კი**

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სოფიკო ქურასბედიანი.
ცვლილების არგუმენტაცია: გაუთავლისწინებელი მდგომარეობის გამო ექსპერტი, რომელმაც შეისწავლა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში ვერ იღებდა მონაწილეობას საბჭოს სხდომაზე.
საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადატანა და ერთხმად დაამტკიცეს **სხ დომის დღის ახალი წესრიგი:**

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	--
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 732 გადაწყვეტილება, 28.11.2012.,ოქმი N18.
5		--

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას #26, თბილისი, 0186 საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	----

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - რომეო გალდავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ განაცხადა, რომ მათი მიზანი იყო შეესაწავლათ და შეეფასებინათ აღნიშნული პროგრამის, როგორც თეორიული ნაწილი ასევე პრატიკულად განხორციელების ნაწილიც, პროგრამის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება;
- პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
- საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;
- პროფესიული პრაქტიკის მოცულობის გაზრდა;

- გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსა და გაცემული რეკომენდაციებისათვის. პირველ რეკომენდაციასთან, აკადემიური პერსონალის გაზრდასთან, დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებაში არის 4 აკადემიური პერსონალი, თუმცა აღნიშნული პროგრამის სხვადასხვა სასწავლო დისციპილინების განხორციელებაში ჩართულია დაწესებულების მთლიანი აკადემიური პერსონალი. ასევე, აღნიშნა, რომ პერსონალის გაზრდა ეტაპობრივად ხდებოდა და ამ ეტაპზე პროფესორების რაოდენობა შეადგენს ოთხს. ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის დამატების. რადგან სტატისიკური მონაცემების თანახმად არსებობს ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთა ზრდის დინამიკა, უნივერსიტეტის დებულების თანახმად აკადემიური პერსონალის გაზრდის საჭიროებაც იქმნება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირმა ცომაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური მუშაობისთვის და განცხადა, რომ ეთანხმება მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს და გააცნო არგუმენტირებული პოზიცია დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

- რეკომენდაცია 1 - წინა წლებში პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მცირე რაოდენობამ განაპირობა აკადემიური პერსონალის აღნიშნული რაოდენობა, რადგან დარგი არის ფართო ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ქიმიის/ბილოგიის სპეციალისტები, ხოლო უშუალოდ ფარმაციის განხრით 4 აკადემიური პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება გაზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა და ახლო მომავალში გამოაცხადოს კონკურსი;
- რეკომენდაცია 2 - რეკომადაციას დაწესებულება დაეთანხმა და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში 2019 წელს უნივერსიტეტმა გამოყო ფულადი სახსრები, რის ფარგლებში შეიძინა ხელსაწყოები, დანადგარები, მაგ., ავტოკლავი, ანალიზური და ელექტრო სასწორი, სპექტროფოტომეტრი, გამწოვი კარადა, სატაბლეტე მანქანა, სუპოზიტორიების დასამზადებელი ხელსაწყო და ელექტრო შემრევი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მფლობელობაში ჰქონდათ მაშრობი კარადა, მიკროსკოპი, ცენტრიფუგა, არ იყო საკმარისი პროგრამის განსახორციელებლად და დაწესებულებამ უზრუნველყო ზემოასღნიშნული ინვენტარის;
- რეკომენდაცია 6 - „ფარმაციის“ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებს, მაგრამ მიმდინარე წელს პანდემიამ შეუშალა ხელი სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, კერძოდ მიწვეულნი იყვნენ საფრანგეთში, ლორალის უნივერსიტეტში, როგორც კი სიტუაცია დარგულირდება სტუდენტები აუცილებლად ისარგებლებენ აღნიშნული პროგრამით და გაემგზავრებიან საფრანგეთში. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი გეგმავს ინტერნაციონალიზაციის განვითარებას.
- რეკომენდაცია 3 - პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მემორანდუმები აქვთ გაფორმებული წამყვან ფარმაცეტტულ კომპანიებთან. სტუდენტების დაახლოებით 98% დასაქმებულია ამ დაწესებულებებში. ასევე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები სხვადასხვა აფთიაქთან, სადაც ტექნოლოგიით სტუდენტები ამზადებენ სხვადასხვა წამლის ფორმებს. თუმცა,

ექსპერტების ვიზიტის შემდეგ მათ დიდ ფარმაცევტულ კომპანიებთანაც დაიწყეს მოლაპარაკება ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით;

- რეკომენდაცი 4 - დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული ბიუჯეტირების წესის მიხედვით ყოველწლიურად იზრდება საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. აღნიშნული წესის მიხედვით საერთო ბიუჯეტიდან ხდება თანხების გამოყოფა სხვადასხვა ხარჯისათის. პროგრამის ხელმძღვანელები მიმართავდნენ ფაკულტეტს და შემდეგ ხდებოდა საჭირო ინვენტარის შესყიდვა. საგანმანათლებლო დაწესებულება 2019 წლიდან სისტემატურად იძენენ აპარატურას, ხელსაწყოებს, თანამედროვე ტექნკას, რათა აღჭურვონ ლაბორატორია ყველა საჭირო ინვენტარით.
- რეკომენდაცია 5 - უსდ-ს პრაქტიკისთვის 240 კრედიტიდან 22 კრედიტი აქვს გმაოყოფილი, რადგან ექსპერტებმა ურჩიეს პრაქტიკის კრედიტების რაოდენობის გაზრდა, მზაობას გამოხატავენ გაითვალისწინონ რეკომენდაცია და კიდევ უფრო გაზრდონ პრაქტიკის მოცულობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, თუ რას შეიძლება მოიცავდეს ფარმაციის პროგრამა სწავლის თვალსაზრისით. პროგრამის პირველი მიზანია საბაზისო ქიმიის, ბიოლოგიის სამედიცინო სფეროსა და ა.შ. ცოდნა, მეორე მიზანია ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზება, ფუნქციების მართვა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და სხვა. იგი დაინტერესდა რამდენად აკმაყოფილებს კურიკულუმი ამ მიზნებს, რადგან სულ 2 საგანია, რომლებიც მენეჯმენტსა და მარკეტინგზე გადის, ერთი საგანი ძირითად სასწავლო ბლოკშია, სადაც გაერთიანებულია მენეჯმენტი და მარკეტინგი და მეორე არჩევითშია „ფარმაკოეკონომიკის საფუძვლები“.

საბჭოს წევრმა, განმრტა, რომ ორი კურსია ძირითად სასწავლო ბლოკში: “ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა“ და „ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები“

დაწესებულების წარმოაოდგენელმა, რომეო გალდავამაც დაადასტურა, რომ აღნიშნული კურსები სავალდებულო საგნების ბლოკშია გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სილაბუსებში, რომელიც მიეწოდათ საბჭოს წევრებს, ერთი კურსი სავალდებულო ბლოკში, მეორე კი არჩევითში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ნათია კვიჟინაძე დაეთანხმა და განაცხადა, ერთი კურსი სავალდებულო ბლოკშია, ხოლო მეორე კი არჩევითში. დაეთანხმა გიორგი თურქიას მოსაზრებას, რომ ორივე მნიშნველოვანი და ძირითადი კურსია.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა ხომ არ საჭიროებს საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკის, მარკეტინგისა და ლოჯისტიკის მიმართულებით გაძლიერებას, რადგან თვითონ ტექნოლოგიური საკითხი, მაგ., წამლების დამზადება, ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ფარმაცევტულ კომპანიაში მოხვდება მათი სტუდენტი შესაძლებელია სრულიად მარკენტინკული საქმიანობა დაევალოს, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ლოჯისტიკური საკითხი, წამლის შენახვა და მიწოდება. კურიკულუმში საერთოდ არ უნახავს მედიკამენტების გადაზიდვა და შენახვა, რადგან სახელმწიფო არეგულირებს ამ საკითხს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კვიჟინაძემ დააფიქსირა, რომ დასკვნაში აღწერილი აქვთ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა, გიორგიმ თურქიამ ურჩია საგანმანათლებლო დაწესებულებას, რადგან მათი ერთ-ერთი მიზანია მართვა და ამ მიმართულებით სტუდენტს შეეძლოს მუშაობა, უფრო მეტად დაფიქრდნენ ამ მიმართულების გაუმჯობესებაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მარკეტინგი და მენეჯმენტი ძველი პროგრამით ცალ-ცალკე საგნებად ისწავლებოდა, ხოლო წარმოდგენილ პროგრამაში კი ერთ, ძირითად საგნად წაიკითხება, ასევე „ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკაც“ ძირითად საკითხად არის, ხოლო „ფარმაკოეკონომიკის საფუძვლები“ არჩევითად. მაგრამ თუ საბჭო და ექსპერტები გასცემენ რეკომენდაცია, რომ აღნიშნული კურის გადატანილ იქნას ძირითად საგნებში, უნივერსიტეტი ამ საკითხს განიხილას და გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციას, რადგან თავადაც ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ასპექტების ცოდნა აუცილებელია მომავალი სპეციალისტებისთვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დააზუტრა და განმანრტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანში უწერიათ „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზების, ფუნქციების მართვის, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძვლების ცოდნა“, ამიტომ ამახვილებენ ყურადღებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრის რჩევას და განაცხადა, რომ აუცილებლად გაითავლისწინებე აღნიშნულ საკითხს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ლოჯისტიკა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ფარმაციაში, წამლების ტრანსპორტირება, დასაწყობება, ასევე ფარმაცევტულ კომპანიებში და კლინიკებში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კვლევას ამ მიმართულებით. საქართველო ჩართულია პირველი ეტაპის კვლევებში, და კურიკულუმში ეს საკითხები არ იძებნება. პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ კლინიკურ კვლევაზე, მაგრამ მენეჯმენტის კუთხით როგორ ხდება ამის აწყობა სამედიცინო კუთხით, არ იკითხება. არსებობს საკანონმდებლო ბაზა, მეორე ეტაპის კვლევა, მესამე, მეოთხე და ა.შ. დღევანდელ ეტაპზეც ხომ კლინიკური კვლევის პრობლემაა, კორონავირუსთან დაკავშირებით რა სამართლებრივი სტანდარტებია, ასევე მნიშვნელოვანია „ჯენერიკების“ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ცოდნა. დიდი კომპანია რა ინვესტიციებს დებს, რა ფული სჭირდება წამლის შემუშავებას და საერთაშორისო სტანდარტი არსებობს, მაგალითად დაახლოებით 25 წელი შეუძლია კომპანიას წამლის გამოშვების ექსკლუზივის გამოყენება, შემდეგ, იხსნება რეცეპტი და ჯენერიკების წარმოება ხდება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასწავლიან საგანს „ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია“ და მოიცავს ყველა საკითხს, რაც საბჭოს წევრმა დაასახელა, ესეც ძირითადი საგანია და მას გადიან სიღრმისეულად, ეს ახალი პროგრამაა და რა ცვლილებაც გაკეთდა წინა, უკვე მოქმედ პროგამასთან შედარებით იყო ის, რომ მენეჯმენტი და მარკეტინგი გააერთიანეს ერთ დისციპლინად და არის ძირითადი საგანი, ფარმ-საქმის ორგანიზება ისედაც ძირითადი საგანია, ფარმა-ეკონომიკის საკითხები - არჩევითი და უსდ აბსოლუტურად ეთანხმება, რომ ძირითად საგნად უნდა გადავიდეს, იგივე ტრანსპორტირება, დასაწყობება, ვარგისობის ვადები თუ შენახვის ვადები, ამას ძალიან ძირ-ფესვიანას გადის აღნიშნული პროგრამის სტუდენტი და მომავალმა ფარმაცევტმა ეს ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე უნდა იცოდეს შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც პროგრამა ითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიას, რომელიც უნივერსიტეტმა პარტნიორებში ახსენა, კარგი საწყობი აქვთ და ტემპერატურულ რეჟიმებს კომპიუტერულ დონეზე აკნოტროლებენ, სწორედ ეს არის ოპერაციათა მართვა, რადგან დაწესებულებას მიზანში მკაფიოდ აქვს გამოყოფილი და დიდ აქცენტს უნდა აკეთებდეს ამ საკითხზე, არანაკლებ ვიდრე სამედიცინო საკითხებზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფარმ-საქმის დისციპლინა ითვალისწინებს ყველა ჩამოთვლილი საკითხის შესწავლას.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ მისი კითხვა ეხებოდა აკადემიური პერსონალის საკითხს, დაინტერესდა, რამდენად ყოფნის 4 პედაგოგი დარგობრივი საგნების სწავლებას. მისთვის გასაგებია უნივერსიტეტის მიზანი, დარგობრივი მიმართულების გაძლიერების მხრივ, თუმცა ამ მომენტში რამდენად არის საკმარისი ეს რაოდენობა, მაგ., ნ.ტ. 6 საგანს ასწავლის, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან: „ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები“, „ფარმაცევტული ანალიზი“, „საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა“, „ფარმა-ეკონომიკა“, „ჰომეოპათიის საფუძვლები“, „კოსმეტიკურ და პარფიუმერულ საშუალებათა ტექნოლოგია“ და ასე აქვს ოთხივე ლექტორს, მეორე კითხვა ეხება კლინიკურ საქმიანობას, დაწესებულებას აქვს ხელშეკრულებები, თუ აქვს ეს ხელშეკრულებები, რატომ მოხდა რეკომენდაციად ამ საკითხის გაძლიერება. როგორც ზეპირ მოსმენაზე გახდა ცნობილი, სტუდენტები ძირითადად, პრაქტიკას ორ ადგილას გადიან, მას აინტერესებდა იყენებენ თუ არა ამ ეტეპზე ყველა იმ ორგანიზაიის ბაზას, ვისთანაც აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება და შემდეგში აპირებენ თუ არა განვითარებას ამ მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საინტერესო კითხვებისთვის და პირველ კითხვასთან მიმართებით განმარტა, რომ მათ მხოლოდ აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 4, თუმცა ჰყავთ მოწვეული, როგორც დარგის სპეციალისტები, ისე ქიმიკოსები, ბიოტექნოლოგები, ბიოლოგები, თუმცა აპირებენ კონკურსის გამოცხადებას პერსონალის რაოდენობისგაზრდას, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ არსებული რაოდენობა, რაც ამჟამად არის საკმარისია. ახალ პროგრამაში მოწვეული დარგის სპეციალისტები და აკადემიური პერსონალის რაოდენობა უფრო გაიზრდება.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ხელშეკრულებები და წარმატებით იყენებდნენ მათ, თუმცა ზოგიერთი მათგანი უკვე „ვადაგასულია“, მაგრამ აპირებდნენ ახალ ბაზებთან ხელშეკრულებების დადებას.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ დააზუსტა თავისი კითხვა, თუ როგორ იყენებენ არსებულ ხელშეკრულებებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვს პრაქტიკის დღიურები, მათ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები იმ ობიექტებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას და იყენებენ ყველა ობიექტს.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, რატომ მოხდა ეს საკითხი რეკომენდაციებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ უპასუხა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ადგილზეც იკითხეს, დეტალურად შეისწავლეს კომპეტენციებიც და ეჭვს არ

იწვევდა ის საკითხი, რომ აკადემიურ პერსონალს შესაბამისი კომპეტენციაც და განათლებაც აქვს, რაც დასტურდება დოკუმენტაციით, ანუ მათ შეუძლიათ აღნიშნული პროგრამისა და სხვადასხვა თემატიკის წარმართვა, თუმცა ვინაიდან უნივერსიტეტს მიზნად აქვს და უკვე რაოდენობრივად იზრდება გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია პერსონალის გაზრდის შესახებ, რადგან გაზრდილი სტუდენტების რაოდენობისთვის უნივერსიტეტს არ ეყოფა აკადემიური პერსონალი, რათა განახორციელოს აღნიშნული პროგრამა, სწორედ ამიტომ მოხვდა რეკომენდაციაში, რომ უსდ-მ აუცილებლად იზრუნოს პროფილური აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდაზე.

რაც შეეხება პრაქტიკებს, დაწესებულებას ძირითადად გაფომებული აქვს მემორანდუმები, რომლებიც არ გულისხმობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, სწორედ ამიტომ მოხვდა რეკომენდაციაში, რომ როდესაც ხელშეკრულებაა გაფორმებული ორივე მხარეს აქვს რაღაცის ვალდებულება და მოთხოვნის უფლება, როდესაც საქმე ეხება საწარმოო პრაქტიკას, წარმოებაში შესაძლებელია რაღაც პროცსები იყოს დაგეგმილი, ან საწარმოო პროცესები ან გადაიარაღება და არ განახორციელდეს აღნიშნული პრაქტიკა, სწორედ ამიტომ გაიწერა რეკომენდაცია, რომ გაფორმდეს ხელშეკრულებები, სადაც ორივე მხარის ვალდებულებები იქნება ნათლად გაწერილი და აუცილებლად გაივლიან სტუდენტები საჭირო პრაქტიკას.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ ყურადღება გაამახვილა რეკოემნდაციაზე, რომელიც ეხებოდა სახელმძღვანელოების რაოდენობის შემცირებას. მისი აზრით მხოლოდ სახელმძღვანელოების რაოდენობაზე არ უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული, რადგან ზოგიერთ სილაბუსში უნდა მოხდეს სახელმძღვანელოების გადანაცვლება, მაგალითად მოიყვანა ერთ-ერთი სილაბუსი, სადაც ძირითად ლიტერატურაში მოცემულია ვიდალის ცნობარი, თურმანაულის წიგნი და ხარკვეიჩი, დამატებითში კი წერია კატცუნგი, რომელიც ქართულად არის ნათარგმნი და სამაგიდო წიგნია მთელ მსოფლიოში. ასევე აღნიშნა, რომ „ფარმაკოლოგიის“ სილაბუსში დამხმარე ლიტერატურაში წერია ირინა კვაჭაძის „ფიზიოლოგია“, რამაზ ხეცურიანის „ნორმალური ანატომია“. მან დაწესებულებას ურჩია, რომ გადახედონ სილაბუსებს, რადგან ამით ხელმძღვანელობს სტუდენტი. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნულ საკითხს. სახელმძღვანელოები გადასახედია, რადგან ყველა სილაბისში ხარკევიჩი ფიგურირებს, რაც ნათრგმნიცაა ქართულად ისინი დამხმარე ლიტერატურაშია და რატომ არის ყოველთვის ისინი ძირითადში და რაც მართლა ღირებულია ისინი დამატებითში თან ანატომიასთან, ფიზიოლოგიასთან, პადფიზიონომიასთან და პათოლოგიასთან ერთად. ამიტომ საჭიროა უბრალოდ კი არ შემცირდეს ლიტერატურა, ასევე კონტექსტუალურად უნდა იქნას მოყვანილი საგანთან შესაბამისობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს და განმარტა, რომ გაითვალისწინებენ აღნიშნულ მოსაზრებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფარმაკოლოგიის საგნის ძირითადი, წამყვანი წიგნების, რაც ჩამოთვლილ იქნა, რამდენიმე ვარიანტი აქვთ ბიბლიოთეკაში, რომლებიც შეამოწმა ექპერტთა ჯგუფმაც, ეს არის ხარკევიჩი, თურმანაული, კატსუნგი, ყველა წიგნი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე და ძირითადად ამ ლიტერატურიდან ხდება კურიკულუმში მოცემული დისციპლინების სწავლება

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ შეახსენა, რომ კატსუნგი დამხმარე ლიტერატურაში აქვთ მითითებული და თურმანაულის წიგნი, რომელიც თავის დროზე არაჩვეულებრივი წიგნი იყო ძირითადში, მაგრამ მას მერე ბევრი რამ განვითარდა, დღეს კი ფარმაკოლოგია და ფარმაციაზე გადის მედიცინის ყველაზე ძირითადი ხაზი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თურმანაულის წიგნი შეძენილი აქვთ ყველაზე ბოლო გამოცემა, რომელიც არის 2018-2019 წლის და კურსი ამის მიხედვით მიმდინარეობს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დაამატა, რომ ის გამოცემა ეყრდნობა წინა გამოცემას, 2018 წლის არ არის სინამდვილეში. აქვე, აღნიშნავს, რომ მისი კოლეგიალური რჩევაა, რომ ანატომია არაფერ შუაშია ფარმაკოლოგიასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ აღნიშნულ რჩევას.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომეო გალდავას, როგორ ხდება პროგრამის შედეგების შეფასება, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია თითოეული საგნის შედეგების შეფასების მეთოდები და არა პროგრამის შედეგების შეფასების.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის ანალიზი ხდება, კურსის მიხედვით ფასდება, შემდეგ დგინდება რამდენად ჯდება სტანდარტში, რომელშიც უნდა იყოს ეს შეფასება და შემდეგ შესაბამისი რეკომენდაციები მიდის კურსის მიმართულებით, ზოგადად ანალიზი შეიძლება იყოს საგნობრივი მიმართულებითაც.

სამჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ მოიყვანა მაგალითი, ფარმაციის პროგრამის ერთ-ერთი შედეგია: „იცოდეს წამლები და ადამიანებზე მათი ზეგავლენა“, ასეთი საგანი პროგრამაში არ არის და გაფანტული უნდა იყოს სხვადასხვა საგნებში ფარმაკოკინეტიკიდან დაწყებული, დარგობრივი მიმართულების საგნებში. როგორ უნდა გაიგონ სტუდენტი გავიდა ამ შედეგზე თუ არა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ შედეგების შეფასება საგნობრივად ხდება და თვითონ საგნები ფასდება, ზოგადად პროგრამის შედეგების თვალსაზრისით თუ როგორ გადის ამ შედეგზე, სასწავლო რუკაში მითითებულია რომელი საგანი რომელ შედეგზე გადის და შესაბამისად დგინდება მიიღწევა თუ არა შედეგი. ასევე უნივერსიტეტს ჩაშლილი აქვს შედეგების რუკაც, სადაც უფრო ნათლად არის მოცემული თუ რომელი კური რა შედეგზე უნდა გავიდეს.

საბჭის წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთის აღმწერის მიხედვით ფარმაციის პროგრამა მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტირებას, პროგრამის სტრუქტურაში კი განაწილებისა და ადმინისტრირების ბლოკის კურსები დააკლდა, ასევე დასამატებელია ლოგისტიკა და ოპერაციათა მენეჯმენტი, ადმინისტრირების ბლოკიდან ცალსახად ფინანსების ნაწილია დასამატებელი. „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა“ და „ფარმაციის მენეჯნემტისა და მარკეტინგის საფუძვლები“ განხილული სავალდებულო ლიტერატურა ერიაშვილის ორი წიგნია, ერთი არის სოციალური ფარმაცია, მეორე ბიზნესის საფუძვლები, ასევე მეორე წიგნი გამოყენებულია კურსში „ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები“, თუმცა ეს კურსები ადამინისტრირების ნაწილს სრულად ვერ მოიცავს და არ პასუხობს, შესაბამისად ცალსახად გადასამუშავებელია. პირველ სილაბუსში კარგი იქნება თუ შეიცვლება ლიტერატურა, თუ ამ მიმართულებით არ მოიპოვება ლიტერატურა მენეჯმენტიდან შეუძლიათ გამოიყენონ და გააძლიერონ ფარმაცევტული საქმის ქეისებით, ან შესთავაზონ გარკვეული რიდერები, რადგან 2006 წლის, 2009 წლის ლიტერატურით გაუჭირდებათ მენეჯმენტის სწავლება, მათ შორის 2001 წლის სოციალური ფარმაციით, ამ სილაბუსში ეკონომიკური ნაწილი არ არის განხილული. კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო იქნება დააეტატოს, ფინანსების,

მარკეტინგის, ასევე ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის ბლოკიდან. რაც შეუძლიათგააერთიანონ რამდენიმე კურსში მოუყარონ თავი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი ძირითადი სახელმძღვანელოს არჩევისა და ამ პროგრამის შედგენისას გაითვალისწინეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტების და სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილებაც და ძირითადი ლიტერატურა შერჩეულია ამ პრინციპით, თუმცა მიაჩნიათ, რომ ფარმაციის მიმართულება არ არის არც ეკონომიკის საკითხები, არც მარკეტინგის საკითხები და არც ბიზნესის საკითხები, ის რაც ფარმაცევტს მოეთხოვება გათვალისწინებულია აღნიშნულ ძირითად ლიტერატურასა და დამატებით ლიტერატურასაშიც, სტუდენტები იღებენ ამ მიმართულებით იმ ცოდნას რაც ფარმაცევტს მოეთხოვება, ეს არ არის ეკომიკისა და მარკეტინგის ფაკულტეტი ცალკე, მათი ძირითადი პროფილი არის ფარმაცია და ასწავლიან გარკვეულ დონეზე საბაზრო ეკონომიკის საკითხებსაც.

ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულება მაქსიმალურად აქვთ გათვალისწინებული პროგრამაში, როგორც სახელმძღვანელოები ასევე საკითხები, ისინი სხვა დარგის სპეციალისტები არიან, რაც მოეთხოვება ფარმაცევტს ყველაფერი გაითვალისწინეს.

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფარმაციის პროგრამაა და უნივერსიტეტიც ფარმაცევტისთვის აუცილებელ საკითხებს ასწავლის, მაგრამ ეს მიზნებსა და შედეგებშიც უნდა იყოს დაკონკრეტებული და აბსოლუტურად სხვა მიმართულებით არ უნდა მიდიოდეს სწავლების კურსი, არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის სტუდენტი, კურსი უნდა ისწავლებოდეს თანამედროვე ლიტერატურით, იმ მეთოდიკით, რომელიც სტუდენტს შედეგზე გაიყვანს, ამიტომ ნიკოლოზ კიკნაძის რჩევა არის მნიშვნელოვანი და არ არის იმაზე პროგრამა ცუდია თუ კარგი, თუ ამ საგნებს ასწავლიან, უნდა ასწავლონ თანამედროვე ლიტერატურით და მათი გადასაწყვეტია რა დოზით ასწავლიან, ამისკენ იყო მიმართული, რადგან შინაარსი ფარმაცევტი იქნება, ექიმი, იურისტი თუ ინჟინერი ის ნაწილი, რომელიც ბიზნეს ადმინისტრირების ან მარკეტინგის საფუძველებს ეხება უცვლელია, ყველასთვის საერთოა, უბრალოდ შიგნით როგორ დაკონკრეტდება და რასთან ეს სხვა ამბავია, ნიკოლოზს არ უკითხავს რა უნდა ასწავლონ, აქ საუბარი იყო იმაზე რასაც ასწავლიან, რა ფორმით ასწავლიან, უნდა ასწავლონ მაქსიმალურად თანამდეროვე სახელმძღვანელოებით, რადგან განმარტა, რომ არ გულისხმობდა შინაარსობრივ ნაწილს გასათვალისწინებელი და ღირებული რჩევა გასცა ნიკოლოზმა, რადგან რაც უფრო თანამედროვეა და მითუმეტეს თუ დარგის სპეციალისტმა ურჩია, უფრო წაადგება პროგრამას, ასევე დიმიტრისთვის გასაგებია ისიც, რომ კვალიფიკაცია არის ფარმაცია და ყველა სხვა დამხმარე საგანია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:29
დასრულების დრო: 15:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
√ საბჭო ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მე-2 სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც „შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

1. სწავლის შედეგების მისაღწევად გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
2. გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება;
3. უფრო მეტ პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
4. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სრულყოფა და შესაძლო რისკების განსაზღვრა;
5. პროფესიული პრაქტიკის მოცულობის გაზრდა;
6. გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა;
7. პროგრამის მიზნებგიდან გამომდინარე გაძლიედეს ლოგისტიკის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის სწავლება და განახლდეს ლიტარეტურა, განსაკუთრებით მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულების საგნებში;
8. პროგრამაში გათვალისწინბული იყოს ფამრაციის მიმართულების საქართველოს საკანონმდებლო აქტების სწავლება;
9. სილაბუსებში შემცირდეს ლიტერატურის რაოდენობა და კონტექსტუალურად იქნას მოყვანილი საგანთან შესაბამისობაში;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემები ავიაციაში
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი	გადაწყვეტილება №102, 28.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	--
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი No 16, თბილისი, 0103, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ნიკა თიკანაშვილმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, გიორგი თურქიას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ რუხაიამ განაცხადა, რომ პროგრამაში I, III და V სტანდარტები იყო შესაბამისობაში სტანდარტებთან, II და IV იყო მეტწილად შესაბამისობაში. წარადგინა რეკომენდაციები:

1. პროგრამას დაემატოს სავალდებულო საგანი „საქართველოს და საერთაშორისო საჰაერო კოდექსი“;
2. კურსის „კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის“ წინაპირობა შეიცვალოს კურსით „ციფრული სისტემები“;
3. კურსის „ციფრული სისტემების საფუძვლები“ წინაპირობა შეიცვალოს კურსით კურსით „უმაღლესი მათემატიკა 1“;
4. კურსის „პროგრამული პაკეტი Matlab“ წინაპირობას დაემატოს კურსი „ალგორითმებისა და დაპროგრამების საფუძვლები“;
5. კურსის „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ წინაპირობას დაემატოს კურსი „უმაღლესი მათემატიკა 1“;
6. კურსს „ინფორმაციული სისტემები“ დაემატოს წინაპირობად კურსები „ოპერაციული სისტემები“, „ალგორითმები და დაპროგრამების საფუძვლები“ და „უმაღლესი მათემატიკა 1“;
7. კურსს „ხელოვნური ინტელექტი“ წინაპირობად დაემატოს კურსი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“;
8. კურსს „ექსპერტული სისტემები“ წინაპირობად დაემატოს კურსი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურების“;
9. კურსში „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ დაკორექტირდეს სწავლის მიზანი ისე, რომ მოიცავდეს მონაცემთა სტრუქტრებს. კურსის შინაარსი გამდიდრდეს მონაცემთა სტრუქტურებთან დაკავშირებული მეტი საკითხებით;
10. კურსში „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში“ დაემატოს თანამედროვე კიბერუსაფრთხოების საკითხები;
11. კურსებში „ოპერაციული სისტემები“, „ავტომატური მართვის თეორიის საფუძვლები“, „მიკროპროცესორები და მიკროპროცესორული სისტემები“, „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“, „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“ და „ოპერაციული სისტემა ლინუქსი“ დამატებითი რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურით;
12. კურსში „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში“ გამოყენებულ იქნას უახლესი ლიტერატურა;
13. სასწავლო კურსებში „პროგრამული პაკეტი მათლაბი“, „ციფრული სისტემების საფუძვლები“, „ციფრული სქემატექნიკა“, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „ოპერაციული სისტემები“, „დისკრეტული მათემატიკა“, განისაზღვროს ჯგუფური მუშაობის პროცესის სპეციფიკა, ან ამოღებულ იქნას აქტივობებიდან ჯგუფური მუშაობა;
14. სასწავლო კურსებში „დისკრეტული მათემატიკა“, „ციფრული სქემოტექნიკა“, „ალგორითმებისა და დაპროგრამების საფუძვლები“, „პროგრამული პაკეტი მათლაბი“, „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „ოპერაციული სისტემები“, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, „მიკროპროცესორები და მიკროპროცესორული სისტემები“, „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებში“ განისაზღვროს ზეპირი შეფასების მეთოდის სპეციფიკა ან ამოღებულ იქნას ზეპირი შეფასების მეთოდი;
15. ძირითადად აკადემიური პერსონალის პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა არის ადგილობრივი, ან საქართველოში ცატარებული საერთაშორისო ხასიათის, ფაქტობრივად, საზღვარგარეთ წასვლა არ უფიქსირდებათ, ეკომენდაცია იყო, რომ შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის და შემდეგ გაუზიარონ სტუდენტებს;

16. როდესაც ექსპერტები უსდ-ში იყვენენ ვიზიტზე ნახეს მხოლოდ ერთი კომპიუტერული კლასი, უსდ-მ უთხრათ, რომ 2 კომპიუტერული კლასი აქვთ, თუმცა მეორე არ უნახავთ და ექსპერტების აზრით ამ ერთ ან ორ კლასში აღნიშნული პროგრამის ჯეროვნად განხორციელება შესაძლებელი, ამიტომ უნდა დაემატოს მინიმუმ ერთი კლასი, მხოლოდ ამ პროგრამას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ბოლო რეკომენდაცია არის, საინჟინრო ფაკულტეტზე დაემატოს კომპიუტერული კლასები და გამოიყოს მინიმუმ ერთი კომპიუტერული კლასი მხოლოდ ინფორმაციული სისტემები ავიაციაში საბაკალავრო პროგრამისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ტეფნაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია კვლევების დაფინანსების წესი, რომელიც მოიცავს კვლევების დაფინანსების პროცედურას, კონფერენციებში მონაწილეობასა და სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებას, ასევე გაგზავნილი იყო უსდ-ისგან, როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან, შეხსენება, რომ უსდ მზად არის დააფინანსოს, კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიის გამოქვეყნება და ა.შ., თუმცა პანდემიის გამო შეუძლებელია ვინმეს უცხოეთში წასვლა, მაგრამ ის ხარვეზი, რაც წარსულში ჰქონდათ ამაზე თვითონვე აქვთ ნაფიქრი და ეს წესი დაამკვიდრეს 2019 წლის დეკემერში და მუშაობენ ამ კომპონენტის გაძლიერებაზე, თუმცა ეპიდსიტუაციის გამო არ მოხდა რეალური წარმოდგენა ექსპერტების წინაშე.

საინჟინრო ფაკულტეტის დეკანმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ყურადღებას გაამახვილებს საფაკულტეტო საკითხებზე და დაამატა, რომ მათი პერსონალი სარგებლობს მსგავსი შეთავაზებებით და სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობს, ასევე უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მიმდინარე თვეში, 28-29 აგვისტოს დაგეგმილია სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ჩართულია მათი პარტნიორი სხვადასხვა ქვეყნებისს წარმომადგენლები, ეს არის დარგობრივი კონფერენცია, რომელშიც სხვადასხვა მიმართულებებიდან მიიღებენ მონაწილეობას და ასევე, პერსონალს შეუძლია საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა.

საინჟინრო ფაკულტეტის კომპიუტერულ კლასებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 კომპიუტერული კლასი, ეს გახლავთ ოპერაციული სისტემების კლასი და კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია, რომელიც მისი ფუნქციებიდან გამომდინარე გათვლილია იმ სტუდენტებსა და კონტიგენტზე, რომელიც სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე, ამ პროგრამაზე ჯამში, ოთხივე კურსზე 85 სტუდენტი სწავლობს და თითოეულ კლასში 20 კომპიუტერი მაინც არის, თუმცა აღნიშნული პროცედურა მიმდინარეობს და შეიძინეს განახლებული კომპიუტერები, რომლითაც მოხდა კომპიუტერული კლასების განვითარება და ეს შეუქცევადი პროცესია, შესაბამისად ამაზე ბუნებრივად მიმდინარეობს მუშაობა, სხვა მიმართულების სტუდენტებსაც შეუძლიათ შევიდნენ და ისარგებლონ, თუმცა ეს არ უშლის ხელს იმას, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებმა ისარგებლონ, ეს მხოლოდ დროის და აკადემიური წლის დაგეგმვის საკითხია, სტუდენტებს წვდომა აქვთ კომპიუტერულ კლასებზე და რესურსი არის სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ლიტერატურის საკითხს, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ზოგადად საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო პოლიტიკა არის,

რომ მაქსიმალურად მოხდეს ინგლისურენოვანი როგორც ელექტრონული, ასევე დაბეჭდილი ლიტერატურის შეძენა, აღნიშნულ პროგრამაზე სხვადასხვა ინგლისურენოვანი ლიტერატურა გამოიყენება არაერთ სასწავლო კურსში, მათ შორის Oxford-ის საავიაციო აკადემიიდან შეძენილი ლიტერატურა, მაგ., ფრენის მართვის სასწავლო კურსში, ხოლო დასახელებულ სასწავლო კურსებში რუსულენოვანი ლიტერატურის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით საუბარია დამატებით ლიტერატურაზე, სადაც მითითებულია, როგორც ინგლისურენოვანი ასევე რუსულენოვანი ლიტერატურა, არცერთი რუსულენოვანი ლიტერატურა არ არის 2014 წელზე ძველი, რადგან უსდ-ს აქვს ეს რესურსი და ეს ლიტერატურა არსებობს ფაკულტეტი არ ზღუდავს სტუდენტებს, რომ დამატებით ლიტერატურაში უსდ-ის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით ისარგებლონ, რაც შეეხება იმ პროცესს რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურით მოხდეს გაძლიერება და დამატებით ლიტერატურაში შეთავაზებულ იქნას უფრო მეტი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ეს პროცესიც გრძელდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დემურ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ პასუხს გასცემს სამ რეკომენდაციას, რომელსაც არ ეთანხმება:

რეკომენდაცია 1 - დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ „საქართველოს და საერთაშორისო საჰაერო კოდექსის“ ჩასმა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში არ მისცემს სტუდენტებს დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავების, კვალიფიკაციაზე გასვლის საშუალებას, თუმცა მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ შეიტანონ ძირითადი სასწავლო სფეროს აჩევით კურსებში.

რეკომენდაცია 4 - უსდ არ ეთანხმება, რადგან დაპროგრამების ნაწილის შესწავლისათვის, მათ აქვთ არჩევითი, გაღრმავებული კურსი „დაპროგრამება MATLAB გარემოში“, როდესაც სტუდენტს შეუძლია გაღრმავებული ცოდნა შეიძინოს ამ სისტემაში.

რეკომენდაცია 6 - უსდ არ ეთანხმება, რადგან კურსები „ალგორითმები და დაპროგრამების საფუძვლები“ და „უმაღლესი მათემატიკა 1“ ისწავლება პირველ სემესტრში, რაც უპირობოდ მიუთითებს სასწავლო კურსისთვის „ინფორმაციული სისტემები“ აღნიშნული კურსების წინაპირობად დამატების არა საჭიროებას, რადგან ყველა სტუდენტი პირველივე სემესტრში სწავლობს ზემოაღნიშნულ საგნებს, სასწავლო კურსი „ინფორმაციული სისტემები“ არის მეექვსე სემესტრში და რა თქმა უნდა ყველა სტუდენტს აქვს გავლილ, ამიტომ უსდ არ მიიჩნევს, რომ აღნიშნული ორი საგანი უნდა იყოს წინა პირობად. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ოპერაციული სისტემები“-ის წინაპირობად დამატების სააკითხს, კურსი უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების საფუძვლებისა და განვითარების კონცეფციების გაცნობას, ამასთანავე მისი შინაარსი განისაზღვრება სხვადასხვა ინფორმაციული სისტემებისა და საკითხების მხოლოდ მიმოხილვითი ხასიათით. ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურსის ფარგლებში არაა გათვალისწინებული ინფორმაციული სისტემების შესწავლის ტექნიკური რეალიზაციის დონე, ასევე არაა გათვალისწინებული სისტემების მათემატიკური მოდელირების საკითხების განხილვა, ამრიგად ყოველივე აღნიშნულის გამო მათი აზრით არ არსებობს აუცილებლობა სასწავლო კურსს „ინფორმაციული სისტემები“ წინაპირობად დაემატოს სასწავლო კურსი „ოპერაციული სისტემები“. გამომდინარე მისი მსჯელობიდან სასწავლო კურსს „ინფორმაციული სისტემები“ არ სჭირდება ამ სამი რეკომენდირებული წინაპირობიდან არც ერთის დამატება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციების გარდა იზიარებენ ყველა რეკომენდაციას და აპირებენ გაითვალისწინონ მომავალში.

ექსპერტმა, კონსტანტინე ებრალიძემ განაცხადა, რომ როგორც სამართლის სტუდენტის აზრით პირველი რეკომენდაცია მხოლოდ საგნის სათაურზე ვრცელდება „საქართველოს და საერთაშორისო საჰაერო კოდექსის“, რადგან რაღაც კონტექსტში არ ჯდება, უფრო საქართველოს საჰაერო კოდექსი და საერთაშორისო სამართალი, მაგ., ჩიკაგოს კონვენცია და რაც არის აუცილებელი აქტები, აღნიშნა, რომ არ დაიწყებს დავას უნდა იყოს თუ არა სავალდებულო, რადგან ეს დაწესებულების გადასაწყვეტია, მაგრამ აღნიშნული საკითხი პროფესიული მნიშვნელობის იყო, რომ დაეკონკრეტებინა საერთაშორისო საჰაერო კოდექსი ასეთი არ არსებობს, მას ეგონა, რომ სათაურზე გაამახვილებდნენ ყურადღებას, რადგან სათაურში იყო ხარვეზი.

ნიკა თიკანაშვილმა უპასუხა, რომ მათი გაწერილი რეკომენდაციაა და უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია ჰქონდა ექსპერტების მიერ გაწერილ ფაქტობრივ გარემოებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ პროგრამა სტრუქტურით არის ინფორმატიკის პროგრამა და სიტყვა „ავიაციაში“, რომ არის თანდართული, მან ნახა 3-4 სასწავლო კურსი არის და როგორ ადის სახელწოდებაზე

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროგრამა არის სიმბიოზი, რომელშიც ხდება გამოთვლითი ტექნიკისა და ავიაციის შერწყმა, ისწავლება კლასიკური ინფორმატიკის ყველა საკითხი, მაგ., ქსელები, კომპიუტერული ორგანიზაცია და ყველა ის საგანი, რომელიც დამახასიათებელია კლასიკური ინფორმაციული ტექნოლოგიებისათვის, რადგან ეს არის საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი და ამის გამო უსდ-ის წარმომადგენლები ეცადნენ, რომ ფუნდამენტურ სისტემებთან ერთად შეეტანათ ისეთი საკითხები და სისტემები, რომლებიც დამახასიათებელია ავიაციისათვის და აღნიშნა, რომ ძალიან იშვიათია ასეთი სიმბიოზის გაკეთება და მათ ამას მიაღწიეს, რადგან აქ არის 4 საგანი: „ფრენის მართვის სისტემები“, „საბორტო კომპიუტერები და ინფორმაციული სისტემები“, „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“, მაგრამ ეს VI-VII სემესტრშია და იმდენად ტევადია, რომ განაპირობებს დასახელების გამართლებას, რომელსაც ეწოდება ინფორმაციული სისტემები ავიაციაში, ასევე დაამატა, რომ პრაქტიკის გავლა ხდება მხოლოდ ავიაციის პროფილით, მხოლოდ ავიაციის ბაზაზე, ამავე დროს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ხდება, მხოლოდ და მხოლოდ ავიაციის სფეროში, რისი გამოცდილებაც დაწესებულებას აქვს. ასევე განაცხადა, რომ ეს პროგრამა 22 წელია არსებობს და თვითონაც 22 წელია მუშაობს, ყოველთვის ხედავს და ამჩნევს, რომ დინამიკაში ვითარდება, მის შედეგებს იმკიან იმით, რომ თითქმის არ არსებობს ავიაციის არცერთი სფერო, მაგ. ავიაკომპანია, საჰაერო ნავიგაცია, თავდაცვის სამინისტროში, „დელტა“, რომელიც ემსახურება სამხედრო საქმეს, ყველგან არიან აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები და საკმაოდ წარმატებულად ართმევენ თავს, ამ თვალსაზრისით, ფიქრობს რომ პროგრამისა და მისი იდეის დანიშნულება არის გამართლებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა დაამატა, რომ პროგრამის დასახელება შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და პროგრამის მიზნები არის გამყარებული იმითაც, რომ უშუალოდ ამ მიმართულებაზე სტუდენტები სწავლობენ ავიაციის საფუძვლებსაც, უშუალოდ ერკვევიან ავიაციაში და მათი სპეციფიური ცოდნა ამ კუთხითაც ვითარდება, ისინი სწავლობენ პროფესიულ ინგლისურ ენას ავიაციაში და ასევე პროფესიულ ინგლისურ ენას საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით. მისი თქმით, მაგ., სასწავლო კურსი „სისტემების მოდელირება“, იქ პრატიკული მაგალითები, „ქეისები“ არის ავიაციას მორგებული,

ბოლო კვირებში ისწავლება ზოგადად მოდელირების საკითხები, სწავლობს პრაქტიკულ „ქეისებსაც“ და ფაქტობრივად საბაკალავრო ნაშრომები ამ კუთხით მზადდება, პრაქტიკა თავის მხრივ საავიაციო სპეციფიკაზეა მორგებული, საჰაერო ნავიგაციაში გადიან სტუდენტები პრაქტიკას და საწარმოო პრატიკის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ კუთხით ვითარდება, პროგრამის შემუშავებისას კი ბუნებრვია გათვალისწინებულია უსდ-ის მისია და სტრატეგია და მისი შესაბამისობა პროგრამასთან ამ არგუმენტებით არის გამყარებული.

ექსპერტმა, ნანა დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ მან იმუშავა მეორე სტანდარტზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამატებითი ლიტერატურის საკითხი არ არის მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურის საკითხი, რადგან თვითონ კურსების შინაარსის მიხედვით, 4 საგნიდან 3-ში შეისწავლება რუსული ტიპის სისტემები და თვითონ ქართულენოვანი სახელმძღვანელოც, რომელიც დაწესებულებას აქვს გამოცემული ფაქტიურად გამოიყენება ამ სისტემების შესწავლისას, ეს სახელმძღვანელოც ძირითადად ეყრდნობა რუსულენოვან ლიტერატურას, ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი ამისთვის ყურადღების მიქცევა, რომ ამ რუსულენოვანმა ლიტერატურამ თვითონ რუსული სისტემების შესწავლა არ გამოიწვიოს, როგორც ეს ამჟამად არის 3 სილაბუსში.

ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ დაამატა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ სტუდენტთა გამოკითხვებშიც არის ნახსენები, სტუდენტები წერენ, რომ ისინი სწავლობენ რუსულ ტექნიკას, რუსულ საფრენ სისტემებს და ამბობენ, რომ უმჯობესი იქნებოდა თანამედროვე სისტემები და თანამედროვე ლიტერატურით ესწავლათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში გაწერილი იყო „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“ ეს რუსეთში, ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში ყველგან ერთია და ამ შემთხვევაში მათ თავიდანვე აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს ლიტერატურის განახლება, თუმცა ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლი ყველა ქვეყანაში ერთ პრინციპზეა დაყრდნობილი და ბუნებრივია აქ განსხვავებულს ვერ ისწავლის სტუდენტი, აღნიშნულ სასწავლო კურსში დამატებით ლიტერატურაში არის რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურა თავისმხრივ ეს შინაარსს არ განსაზღვრავს და რაც შეეხება გამოკითხვებს ანონიმურია და უსდ ამას რეგულარულად აკეთებს და სწორედ სტუდენტები ყავთ ჩართული პროგრამის განხორციელებაში და მათი თხოვნა/იდეა იყო რომ გაძლიერებულიყო პრფესიული ინგლისური, ამიტომ დამატებულია და მთელი 4 სემესტრი ეთმობა პროფესიული ინგლისური ენის შესწავლას და ტენდენცია აქეთ მიდის.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფრენის მართვის სისტემებში გამოყენებული აქვთ „ბოინგის“ ტიპის კომპიუტერული სისტემები. რაც კარგად აქვთ გაწერილი, ასევე რეგისტრაციის სისტემებში გამოიყენება „აირბასის“, „ბონგისა“ და „ემბრაიერის“ ტიპის თვითმფრინავებზე შექმნილი სისტემები, სილაბუსში არ არის კონკრეტულად გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნიკა თიკანაშვილმა დაამატა, რომ ფრენის მართვის სისტემებში განხილულია „ბოინგის“ და „ეარბასის“ თვითმფრინავები და ფაქტის სახით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საკუთრებაში აქვს „ბოინგ-737“ ტიპის საჰაერო ხომალდი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ დააზუსტა, რომ 2.2 კომპონენტში პირდაპირ აქვს აღნიშნიშნული, გადმოტანილი სიილაბუსიდან, რომ „საბორტო კომპიუტერები და ინფორმაციული სისტემებში“ მხოლოდ „ბაგეტი-83“ შეისწავლება, „ფრენის პარამეტრების

რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემებში“ შეისწავლება „ბაროგრაფ AD-2” სამ კომპონენტიანი რეგისტრატორები K-3, 63, MSRP, ექსპერტმა ეს ყველაფერი დაძებნა, საავარიო საექსპულატაციო სისტემა კარატი, ამის დაგუგვლა მარტივად შეიძლება, სად გამოიყენება და გამოიყენება თუ არა საერთაშორისო სივრცეში, ეს ყველაფერი ინგლისურად არც იძებნება, ყველაფერი რუსულ ენაზეა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკა თიკანაშვილმა შეახსენა, რომ ფრენის მართვის სისტემებში, TQIS არის მოცმეული, ფრენის კომპიუტერები, თანამედროვე ტექნოლოგიები და ამ შემთხვევაში სტუდენტი ფართო ცოდნას იღებს, პრინციპებსა და ახალ ტექნოლოგიებზე, რატომ არ მახვილდება ამაზე ყურადღება, თუ ფრენის მართვის პრინციპების სილაბუსზეა ლაპარაკი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა დიხამინჯიამ აღნიშნა რომ, როდესაც 4 საგნიდან 2-ში რუსული სისტემებია გამოყენებული ეს მისთვის საგანგაშოა, რადგან თვითონ რუსული სისტემები გადადიან საერთაშორისო სისტემებზე, შესაბამისად მისი აზრით, მემკვიდრეობითად დარჩა რუსული ცოდნა და ამიტომ არის მნიშვნელოვანი მიაქციონ ყურადღება, რომ არ გაიპაროს სილაბუსებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა,ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ ფრენის მართვის სისტემების დამატებით ლიტერატურაში Oxford-ის საავიაციო აკადემიის ლიტერატურაა, ვითარდება ტენდენცია და ამ კუთხით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, სახელმძღვანელოების გამოცემა, ასევე ქართულ ენაზეც, ინგლისური ლიტერატურის შეძენა და აქტიური მუშაობაა საჭირო, რომ ეს ტენდენცია შეიცვალოს, ნამდვილად არ არის ისე, რომ მხოლოდ რუსულენოვან სისტემებს ასწავლიდნენ, პრინციპი ყველა ქვეყანაში მსგავსია, თუმცა მოწოდებულები არიან, ინგლისურენოვანი ლიტერატურის საფუძველზე მთლიანად გადაეწყონ თანამედროვე „ბონგზე“, „აირბასსა“,და „ემბრაიერზე“ გამოყენებულ საინფორმაციო სისტემებზე, თუმცა დღემდე გამოიყენება სისტემები, ამ სამ მწარმოებელში, რომლებიც აბსოლუტურად ერთი და იგივეა წარმოება ამ შემთხვევაში საინფორმაციო სისტემებიც არის იდენტური და ის რესურსი რაც არსებობდა, თუნდაც საფუძვლების დონეზე დამატებით ლიტერატურაში უსდ არ ახდენს ენობრივ დისკრიმინაციას და ცდილობენ ყველა მხრიდან მისცენ სტუდენტებს ცოდნის მიღების საშუალება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ხაზგასმული იყო - საწყის ეტაპზე იწყებენ „პროგრაფით“, მათი მიზანია სტუდენტებს მისცენ და აჩვენონ როგორ ხდება რეგისტრაციის სისტემების ევოლუციური განვითარება, თავიდან ხდება იმ სისტემების განხილვა რომლის ჩაწერის პრინციპი არის მექანიკური, შემდეგ ფოტო ოპტიკური, მაგნიტური და ა.შ. და ბოლოს მიდიან თანამედროვე სისტემებამდე, ამასთან დაკავშირებით განიხილავენ კარატის ტიპს და შემდეგ შეიძლება ისეთი სისტემები, რომლებშიც დამახსოვრების ელემენტად გამოყენებულია ინტეგრარლული მიკროსქემები, მაგნიტური დომენები და ა.შ., ამიტომ, უსდ-მ აჩვენა მთელი განვითარების ევოლუციური გზა, შეძლებისდაგვარად რეგისტრაციის სისტემების ბოლო სალექციო კურსში ნამდვილად არის ნაჩვენები სისტემები, რომლებიც გამოიყენება „ბოინგზე“ თუ სხვა. ევოლუციური გზა უხარით სტუდენტებს, თანდათან რომ ძლიერდება რეგისტრაციის სისტემები, როგორც არქიტექტურა სტრუქტურის, ასეა, ძალიან საინტერესო თემას წარმოადგენს, და ყოველთვის გამართლებულია ამ ევოლუციური გზის გავლა, მომავალში კიდევ იქნება რომ უცხოური ტიპებიც იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა საგანმანათლებლო დაწესებულება ძირითადად სამოქალაქო ავიაციის საინფორმაციო სისტემებს ასწავლის თუ სამხედროსაც.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „ბოინგი“ ეს არის სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდები და ამიტომ იყენებენ მას. ასევე დაამატა, რომ უნივერსიტეტი ძირითადად სამოქალაქო ავიაციაზეა ორიენტირებული, ფაქტად კი გამოყო რომ, ომის პერიოდში ზუსტად მათი უნივერსიტეტიდან საავიაციო მიმართულებით კომპლექტდებოდა კადრები, როგორც საინჟინრო ასევე სამხედრო მიმართულება, დღევანდელ დღეს კი მხოლოდ სამოქალაქო მიმართულებით მიმდინარეობს სწავლება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ასწავლიან თუ არა, მაგ., ავტომატური ჩასხდომის სისტემას, რომელსაც უცხოურ აეროპორტებში ადამიანები თვითონ აკეთებენ, ჩასხდომის ბარათს იღებენ და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ პროგრამაზე ამის საჭიროება არ არის, თუმცა სხვა მიმართულებებზე ასწავლიან.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ დასვა კითხვა, მაგ., C++, C# - Visual Studio-ს საშუალებით ისწავლება ბაზები და თავიანთი სისტემები აქვთ, მაგრამ, რაც დაგობრივად ჩამოაყალიბეს სასწავლო კურსები რამე „სოფტები“ არის, დემო ვერსიები, თუ მხოლოდ თეორიულად ასწავლიან.

რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ პროგრამაში საფუძვლიანად ისწავლება დაპროგრამების საფუძვლები, C++, C# და ა.შ., ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით უსდ-ს გარკვეული წარმატებებიც აქვს და ამავე დროს ასწავლიან ისეთი სპეციალისტები, რომლებიც საქართველოში არიან გამორჩეული პიროვნებები, მაგ., რომან სამხარაძე და მისი წაყვანილი ლექციები დაპროგრამებასა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებში ანშლაგითა და სტუდენტების დიდი ყურადღებით სარგებლობს. ასე, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტს პრობლემები არ აქვს.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განუმარტა, რომ სხვა კითხვა იყო დასმული, პროგრამულად ასწავლიან თუ მხოლოდ თეორიულად.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ პროგრამულად ასწავლიან.

ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტებია სასწავლო კლასებში, ორი კომპიუტერული კლასი ამის გამოა. ასევე აქვთ საჰაერო ხომალდის სიმულატორი, როგორც ვერტმფრენის, ასევე ორძრავიანი საჰაერო ხომალდის, სადაც შეიძლება რომ საინფორმაციო სისტემები გამოყენება ნახონ ავიაციაში და რაც შეეხება კომპიუტერულ კლასებს ინფორმაციული სისტემები ძირითადად ოპერაციული სისტემების ლაბორატორია სწორედ ამიტომ არის გამოყენებული, სისტემებია ჩატვირთული.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ ბოლო რეკომენდაციის არ გათვალისწინების დაკავშირებით განავრცო, აღნიშნა, რომ ეს საკმაოდ ძვირიანი პრგრამებია და იკითხვა, სხვა სტუდენტების ამ პროგრამებთან დაშვება რამდენად ლოგიკურია და ამით ხომ არ იყო განპირობებული დამოუკიდებელ კლასზე შენიშვნა.

დეკანმა უპასუხა, რომ ეს პროგრამების დემო ვერსიებია და მათ აქვთ მემორანდუმი ერთ-ერთ პარტნიორ კომპანიასთან „დელტასტან“, სადაც პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებია გათვალისწინებული და ისინი აწვდიან უნივერსიტეტს ისეთ ლიცენზირებულ პროგრამებს, რასაც თვითონ იყენებენ, მათ შეძენილი აქვთ წვდომა იმ კომპიუტერებზე, სადაც ეს პროგრამებია ჩაწერილი, ბუნებრივია წვდომა ყველა სტუდენტს ვერ ექნება, ამიტომ არის ორი

კლასი და ამ შემთხვევაში ერთ-ერთ კლასში (მესამე სართულის ლაბორატორიაში) შეიძლება, რომ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებმა იმუშავონ ხოლო მეორე კლასში (ქვედა კლასში) მხოლოდ ეს პროგრამებია ჩაწერილია და სხვა სტუდენტებს არ აქვთ წვდომა, ზოგადად უსდ-ისთვის ცნობილია პროგრამული უზრუნველყოფის ფასები და „დელტასგან“ აქვთ ეს ერთ-ერთი კარგი შეთავაზება, დანარჩენ შემთხვევებში ხშირად იყენებენ დემო ვერსიებს, ყველა პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალი, პრობლემაა, ძალიან ძვირია და მთელი პროგრამის ბიუჯეტი ვერ ეყოფა, პროგრამის კი არა შესაძლებელია რამდენიმე პროგრამის ბიუჯეტიც არ ეყოს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ მათ სიმულაციის პროგრამები, გარდა ერთი დემო ვერსიისა, რომელზეც ექსპერტებმა თქვეს რომ ეს არის საწყისი, მათ მაღალი დონის სიმულაციის პროგრამები არ უნახავთ და ვერც კი შეთანხმდნენ რომელი პროგრამა იყო საჭირო, მაშინ ეს მოსაზრება იყო ხაზგასმული და ამას ამბობს, რადგან არასწორი შთაბეჭდილება არ დარჩეთ საბჭოს წევრებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არის 2 კომპიუტერული კლასი, ასევე გაფორმებულია მემორანდუმი „დელტასთან“ და აქვთ ლიცენზირებული პროგრამები, რომელზე წვდომაც შეზღუდულია, ეს არის რეალობა, რომ ნამდვილად ორი კომპიუტერული კლასია და არის აღჭურვილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფებით და არის პროგრამები, რომლებიც შეზღუდულია, დაშვება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტებს, ვინც ამას უშვებს და რთავს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:26
დასრულების დრო: 16:40

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და მიიჩნია, რომ მე-4 სტანდარტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეაფასა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:

1.პროგრამას დაემატოს სავალდებულო საგანი „საქართველოს და საერთაშორისო საჰაერო კოდექსი“
2.კურსის „კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის“ წინაპირობა შეიცვალოს კურსით „ციფრული სისტემები“.
3.კურსის „ციფრული სისტემების საფუძვლები“ წინაპირობა შეიცვალოს კურსით კურსით „უმაღლესი მათემატიკა 1“.
4.კურსის „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ წინაპირობას დაემატოს კურსი „უმაღლესი მათემატიკა 1“.

5.კურსს „ხელოვნური ინტელექტი“ წინაპირობად დაემატოს კურსი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“.
6.კურსს „ექსპერტული სისტემები“ წინაპირობად დაემატოს კურსი „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურების“.
7.კურსში „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ დაკორექტირდეს სწავლის მიზანი ისე, რომ მოიცავდეს მონაცემთა სტრუქტრებს. კურსის შინაარსი გამდიდრდეს მონაცემთა სტრუქტურებთან დაკავშირებული მეტი საკითხებით.
8.კურსში „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში“ დაემატოს თანამედროვე კიბერუსაფრთხოების საკითხები.
9.კურსებში „ოპერაციული სისტემები“, „ავტომატური მართვის თეორიის საფუძვლები“, „მიკროპროცესორები და მიკროპროცესორული სისტემები“, „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“, „ფრენის პარამეტრების რეგისტრაციისა და კონტროლის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები“ და „ოპერაციული სისტემა ლინუქსი“ დამატებითი რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურით.
10.კურსში „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში“ გამოყენებულ იქნას უახლესი ლიტერატურა.
11.სასწავლო კურსებში „პროგრამული პაკეტი მათლაბი“, „ციფრული სისტემების საფუძვლები“, „ციფრული სქემატექნიკა“, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „ოპერაციული სისტემები“, „დისკრეტული მათემატიკა“, განისაზღვროს ჯგუფური მუშაობის პროცესის სპეციფიკა, ან ამოღებულ იქნას აქტივობებიდან ჯგუფური მუშაობა.
12.სასწავლო კურსებში „დისკრეტული მათემატიკა“, „ციფრული სქემოტექნიკა“, „ალგორითმებისა და დაპროგრამების საფუძვლები“,„პროგრამული პაკეტი მათლაბი“, „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „ოპერაციული სისტემები“, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, „მიკროპროცესორები და მიკროპროცესორული სისტემები“, „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებში“ განისაზღვროს ზეპირი შეფასების მეთოდის სპეციფიკა ან ამოღებულ იქნას ზეპირი შეფასების მეთოდი.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებულია
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	21/11/2019 გადაწყვეტილება # 211
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №53ა
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ხუთივე სტანდარტი იყო შესაბამისობაში, თუმცა აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროგრამას 6 თვის ვადაში უნდა წარედგინა ანგარიში პროგრამის სრულყოფის მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და გაცემული იყო 5 რეკომენდაცია, უსდ-მ დადგენილი ვადების დაცვით წარადგინა ანგარიში. ანგარიშში სრულად არის ასახული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში გამოკვეთილი რეკომენდაციების შესრულებისა და გათვალისწინებული რჩევების შესახებ ინფორმაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ უსდ-მ გაითვალისწინა და შეასრულა აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტიულებაში ასახული

ხუთივე რეკომენდაცია, გაცემული იყო 16 რჩევა და აქედან 13 სრულფასოვნად შეასრულეს, 2 ნაწილობრივ გაიზიარეს, ერთის შესახებ კი აღნიშნეს, რომ საინტერესო რჩევა იყო, თუმცა ამ ეტაპზე მისი გაზიარებისგან თავი შეიკავეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ტარიელ ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ კარგად ითანამშრომლეს ექსპერტებთან და მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს, რამდენადაც კონსტრუქციული სიტუაციაა და ასეთი თანამშრომლობა გამოადგება ყველა დაწესებულებას და მათ შორის მათაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 16:52

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძე .

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N197; 2019 წლის 07 ნოემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი

7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
11	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.#35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, მარინე თოიძემ აღნიშნა, რომ წარდგენილი იყო სამი რეკომენდაცია:

1. შეტნილი იქნეს შესწორება სილაბუსში -„კომუნიკაციის უნარები მედიცინაში“- I სემესტრი. სწავლების მეთოდებში შესწორდეს- სწავლება ავადმყოფის საწოლთან (ამ ეტაპზე პირველკურსელები სწავლობენ პაციენტთან ზოგად კომუნიკაციას (მაგ. თავის წარდგენას, ზოგადი ჩივილების შესახებ ანამნეზის შეკრებას). ფიზიკური გამოკვლევა, ასევე პაციენტისთვის ცუდი ინფორმაციის მიწოდება, განსაკუტრებით კი სამედიცინო ჩანაწერის გაკეთება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში სწავლების საწყის ეტაპზე (პირველი კურსის პირველ სემესტრში) არ ხდება. იგივე ეხება შმთხვევაზე დაფუძნებულ სწავლას (CBL)-ს, რადგანაც სტუდენტებს ამ ეტაპზე არ აქვთ შესაბამისი ცოდნა (რომ განიხილონ შესაბამისი შემთხვევები);
2. მეტი ყურადრება დაეთმოს გერიატრიის, როგორც დისციპლინის სწავლებას. პროგრამაში აღნიშნულია გერონტოლოგია (და არა გერიატრია), რომელიც ინტეგრირებულია მოდულში „ჯანმრთელობა და დღეგრძელობა“ საოჯახო მედიცინის სხვა საკითხებთან ერთად. არ არის გაშლილი გერიატრიული სინდრომები, ხანდაზმული პაციენტების კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, გერიატრიული ფარმაკოლოგიის საკითხები;
3. პროგრამაში სწორად განისაზღვროს შეფასების მეთოდი OSCE, რომელიც წარდგენილი იყო, თუმცა საჭიროებდა დაზუსტებას.

დაწესებულებამ წესის მიხედვით წარადგინა ანგარიში, ექსპერტმა ყველაფერი წაიკითხა, შეისწავლა, შეადარა სილაბუსის ცვლილებები, სამივე რეკომენდაცია აბსოლუტურად შესრულებულია, შეტანილია შესაბამისი ცვლილებები და გათვალისეინებულია და საკმაოდ კარგად წარდგენილი, გაშლილი და დეტალიზებული.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უსდ-ის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თანამშრომლობისა და გასაგები რეკომენდაციებისთვის, ვადების სრულად გაცნობიერებისთვის, ექსპერტს კი ანგარიშის დაწვრილებით გაცნობისა და აღნიშნული რეკომენდაციების შესწორების დადებითად შეფასებისთვის.

მან დასვა კითხვა თავდაპირველ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომ დასკვნაში ჰქონდათ სრული შესაბამისობა მოთხოვნებთან, შემდეგ საბჭოზე ეს არ შეცვლილა, ერთ-ერთ პუნქტში მეორე სტანდარტში მონიშნულია მეტწილად შესაბამისობა და საერთო ჯამში ეს არ ცვლის ვითარებას, მაგრამ მაინც დააზუსტა ეს ტექნიკური ხარვეზია თუ რეკომენდაცია შეიცვალა და უსდ-მ არ მიაქცია ყურადღება. მიტრი გეგენავამ ჰკითხა აქვთ თუ არა საბოლოო ოქმი.

უსდ-ის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ რა თქმა უნდა აქვთ ცენტრის წარსადგენი, ვებ-გვერდზე განთავსებულ ოქმში არის ხუთივე შესაბამისობა, თუმცა ახლა წარმოდგენილ სტანდარში არის მეტწილად შესაბამისობა მითითებული.

ცენტრის წარმომადგენელმა, სოფიკო ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ დასკვნა, რომელიც უსდ-ს გადაეგზავნა იქ არის მეტწილი შესაბამისობა, საბჭოს გადაწყვეტილებაში წერია ხუთივე სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან, მაგრამ საბჭო ვერ მიიღებდა ანგარიშის წარდგენის გადაწყვეტილებას თუ ყველა შესაბამისი იქნებოდა, მისი ვარაუდით წინა დასკვნაში არის ტექნიკური ხარვეზი, შინაარსობრივად ექსპერტის მიერ გაგზავნილი გადაწყვეტილებაა სწორი.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ცენტრის წარმომადგენელმა აბსოლუტურად მართალი თქვა, რადგან მათ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთი სრული შესაბამისობა აღარ არის და ტექნიკური შეცდომაა „გაპარული“ საბჭოს გადაწყვეტილებაში.

სოფიკო ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ დასკვნაში სარეზოლუციო ნაწილამდე სიტყვიერად წერია საბჭომ რომელი სტანდარტის შეფასება შეცვალა, უშუალოდ ცხრილში არ არის ასახული და შესაძლებელია უსდ-ის წარმოამდგენლებს ეს არ უნახავთ. სხდომის თავმჯდომარემ დაამატა, რომ რაც თანდართულია იქ ექსპერტების შეჯამებას ურთავენ და არა საბჭოს მიერ მიღებულს და ამიტომ არის, რომ როგორც ექსპერტებმა შეაფასეს 5 სრული შესაბამისობა ისეა გადატანილი, თუმცა სარეზოლუციო ნაწილში ეწერება ჩამოიწიოს ეს სტანდარტი და შემდგომ უკვე ანგარიში რომელზეა წარმოდგენილი.

უსდ-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასაგებია და მადლობა გადაუხადა საბჭოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:13

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 18:06 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი